იაპონიის საგარეო საქმეთა საპარლამენტო ვიცე მინისტრი ბ-ნი მოტომე ტაკისავა დაესწრო „აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის“ გახსნის ცერემონიას (მე-3 მონაკვეთი: ზესტაფონი-ქუთაისი)

27 ივნისს იაპონიის საგარეო საქმეთა საპარლამენტო ვიცე მინისტრი ბ-ნი მოტომე ტაკისავა დაესწრო „აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის“ გახსნის ცერემონიას (ზესტაფონი-ქუთაისის მონაკვეთი) საქართველოს პრემიერ მინისტრთან ბატონ გიორგი კვირიკაშვილთან ერთად. იაპონიამ ზემოხსენებული პროექტისათვის გამოყო იენის სესხი.

პროექტის გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ბ-ნი ზურაბ ალავიძე, იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბატონი ტოშიო კაიტანი, JICA-ს ოფისის ხელმძღვანელი საქართველოში ბატონი იუკიჰიკო ეჯირი, კონტრაქტორი კომპანიების წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური სტუმრები.

ბატონმა ტაკისავამ მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა შემდეგი: (1) საქართველო არის მნიშვნელოვანი და მეგობრული ქვეყანა, რომელიც იზიარებს იაპონიის მთავარ ღირებულებებს. იაპონიამ ქართველ ხალხს მხარი დაუჭირა ისეთი პრიორიტეტული მიმართულებებით როგორიცაა ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარება და ხალხის ცხოვრების სტაბილიზაცია. (2) ამ წელს აღინიშნება ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლისთავი და ფრიად სასიამოვნოა რომ ზესტაფონი-ქუთაისის სამივე მონაკვეთი ფუნქციონირებს იენის სესხის ფარგლებში. დიდი მადლობა საქართველოს მთავრობას, იაპონურ კომპანიებს და ყველა იმ ადამიანს ვინც ჩართული იყო ამ პროექტის განხორციელების საქმეში. (3) რადგან საქართველო მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანაა და მისი მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება, ეს ავტომაგისტრალი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის განვითარებაში და ასევე მთელს კავკასიის რეგიონში.

პრემიერ მინისტრმა ბატონმა კვირიკაშვილმა გამოხატა თავისი ღრმა მადლიერება იაპონიის მიმართ მხარდაჭერისათვის და ხაზი გაუსვა აღნიშნული პროექტის მნიშვნელობას საქართველოს და მთელი რეგიონისათვის.

საქართველოს პრემიერ მინისტრის ბატონი გიორგი კვირიკაშვილის სიტყვა

იაპონიის საგარეო საქმეთა ვიცე მინისტრის ბატონი მოტომე ტაკისავას სიტყვა

ბ-ნი ტაკისავა და ბ-ნი გიორგი კვირიკაშვილი უზიარებენ მოსაზრებებს



მარჯვნიდან: ბ-ნი ტაკესავა, ელჩი ბ-ნი კაიტანი, პრემიერ მინისტრი ბ-ნი კვირიკაშვილი, მინისტრი ბ-ნი ალავიძე